კრების ოქმი

ბმა „არასაცხოვრებელი კომპლექსის მესაკუთრეთა ამხანაგობა“

(მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71)

ბმა „არასაცხოვრებელი კომპლექსის მესაკუთრეთა ამხანაგობის“ კრება შედგა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71-ში, 2019 წლის 13 მაისს;

ამხანაგობის კრებას ესწრებოდა: ამხანაგობის წევრთა საერთო რაოდენობის 100%.
ამხანაგობის კრებას თავმჯდომარეობდა: გიორგი ხარებაშვილი (პ/ნ: 01029011433).
ამხანაგობის კრებაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

ა) ამხანაგობის კრებამ იმსჯელა ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ.#71-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდით: 01.14.03.001.015.04.02.502) ფასადზე, უძრავი ქონების მესაკუთრის შპს „ტი ეს ვე“-ს (ს/ნ: 205244797) მიერ შპს „საქართველოს ფოსტა“-ს (ს/ნ:203836233) ბანერის განთავსებისა და ადმინისტრაციული ორგანოებისგან ნებართვის მოპოვების საკითხზე;

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა: დამსწრეთა (ამხანაგობის წევრთა) 100%-ის მიერ, ერთხმად.

ამხანაგობის კრებამ გადაწყვიტა:

ა) თანხმობა მიეცეს შპს „ტი ეს ვე“-ს (ს/ნ: 205244797), რათა უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული, ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდით: 01.14.03.001.015.04.02.502) ფასადზე შპს „საქართველოს ფოსტა“-ს (ს/ნ:203836233) ბანერის განთავსება თანდართული ფოტომონტაჟის შესაბამისად და ამ მიზნით შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისგან ნებართვის მოპოვება.

წინამდებარე კრების ოქმს თან ერთვის ბანერის ფოტომონტაჟი.

წინამდებარე კრების ოქმს ამხანაგობის სახელით ხელს აწერს
ბმა „არასაცხოვრებელი კომპლექსის მესაკუთრეთა ამხანაგობის“
კრების თავმჯდომარე

გიორგი ხარებაშვილი

17/03/2019


ფასადის ფართი 25.28კვ.მ 20%=5.06კვ.მ
სარეკლამო აბრის ფართი 1.07კვ.მ
პირობითი აღნიშვნის ხაზი
რეკლამა დამზადდება დიზაინისაგან
50
213
660
383
17/03/2019

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190536979
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	15.05.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ზაალ ზაქარაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი. N 47
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	595 07 52 44
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	87369253751619

ორი ათას ცხრამეტი წლის თხუთმეტ მაისს მე, ნოტარიუსი საქართველოში ზაალი ზაქარაშვილი, რომლის სანოტარო ბიუროში მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N47-ში, მიწვეულ ვიქენი მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი N71-ში, სადაც დამხვდა გიორგი ხარებაშვილი, რომელმაც წარმოადგინა კრების ოქმი და მოითხოვა აღნიშნულ კრების ოქმზე თავისი ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება.
მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად გიორგი ხარებაშვილმა(დაბადებული: 01.08.1981 წელს, დაბადების ადგილი: საქართველო, თბილისი, პ/ნ 01029011433, მცხოვრები: საქართველო, ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა, N 5ა-ში) მომმართა.
მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ მე განვუმარტე მხარეს, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების სისწორეს, ნოტარიუსი ადასტურებს, რომ აღნიშნული ხელმოწერა ნამდვილად ეკუთვნის წარმოდგენილ პიროვნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი კრების ოქმს.
გადახდილია საზღაური 12.0 ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31–ე მუხლისა, ოცი ლარი თანახმად 34-ე მუხლისა და ორი ლარი დღგ–ს ჩათვლით თანახმად 39 მუხლისა. სულ გადახდილია საზღაური 32.0 ლარი.

ნოტარიუსი ზაალი ზაქარაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18